ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1816151

ნომერი: AR1296875

თარიღი : 25.03.2015

გაცემის თარიღი : 01.04.2015

გაცნობის თარიღი : 01.04.2015

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქსნის ქუჩის მიმდებარედ მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს გაგრძელებაზე/ ქალაქი თბილისი , ქუჩა ქსანი , მიმდებარედ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (ნაკვეთი 07/023);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მამუკა მერაბიშვილი პ/ნ 12001015468
- გარდაბნის რ-ნი, სოფ თელეთი

ნომენკლატურა :

- ავტოსამრეცხაო
- II კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ავტოსამრეცხაო ბოქსები
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ილია ბურდული
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "პირამიდა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406083544

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზაზა ანდრიაშვილი (ა.შ.შ-ს მოქალაქე)
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 482725946 (ა.შ.შ-ს პასპორტის ნომერი)

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1508259
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.09.2014

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განიხილული იქნა თქვენი 2015 წლის 25 მარტის AR1296875 განცხადება თანდართული დოკუმენტაციით, რომლითაც ითხოვთ მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებას, რაზეც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის მიერ 2014 წლის 25 №1508259 ბრძანებით ქ. თბილისში, ქსნის ქუჩის მიმდებარედ მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროს გაგრძელებაზე (საკ.N 01.11.19.007.009), მოქ. ზაზა ანდრიაშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე ავტოსამრეცხაოს არქიტექტურული პროექტიდა გაიცა შესაბამისი მშენებლობის ნებართვა . საკითხის განხილვის შედეგად ირკვევა რომ დღეის მდგომარეობით შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, კონფიგურაცია და ფართობი (მიწის ნაკვეთის საკ კოდი იყო N 01.11.19.007.009, ფართობი–2500.00 კვ.მ –. ხოლო დღეის მდგომაარეობით მიწის ნაკვეთის საკ კოდია N 01.11.19.007.038, ხოლო ფართობია 2887.00კვ.მ) აღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ იმისათვის, რომ სამსახურმა ხელახლა იმსჯელოს თქვენს საკითხთან დაკავშირებით საჭიროა პირველ რიგში საჭიროა შეტანილი იქნას ცვლილება სამსახურის მიერ 2014 წლის 30. ივნისს №1350857გადაწყვეტილებით გაცემულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში (გაპი) და შემდეგ საკითხი დააყენოთ სამსახურის წინაშე 2014 წლის 25 №1508259 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის ცვლილებაზე და შესაბამისი ნებართვის გაცემის თაობაზე, რისთვისაც მისამართზე www.tas.ge უნდა აირჩიოთ იგივე ნომენკლატურა მხოლოდ ქმედებაში უნდა მიუთითოთ–შეთანხმებული პროექტის ცვლილება –სტადიებში აირჩიოთ პროექტის შეთანხმება– მშენებლობის ნებართვა და წარმოსადგენი დოკუმენტების სიის მიხედვით შეავსოთ მოცემული ველები.

ზემო აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა მშენებლობის ვადის გაგრელებასთან დაკავშირებით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.